

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის განმარტებებზე 2013 წლის ფინანსური და 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით

თქვენს მიერ წარმოდგენილი განმარტებების (წერილი N 02-03/1411. 12/01/2015) მიხედვით გაირკვა, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას ეთანხმებით. დანარჩენთან დაკავშირებით არგუმენტები გაზიარებული არ იქნა შემდეგი გარემოებების გამო:

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შენიშვნა გამოთქმულია მხოლოდ სახელფასო დავალიანებების აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით. სამინისტროს მიერ აღრიცხულია დავალიანები 2004 წლის მდგომარეობით. მას შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებებით მოხდა გარკვეული თანხების ანაზღაურება და დავალიანება შემცირებულია. აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი დავალიანებების შესახებ ზუსტი სია. აღურიცხაობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებით ყოველწლიურად ხდება გარკვეული თანხების ანაზღაურება, ხოლო სამინისტროს აპარატის ბალანსში ეს არ აისახება (წლების განმავლობაში დაფიქსირებულია ერთიდაიგივე ციფრი).

შპს „ხუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

თქვენი შენიშვნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რადგან ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერის საფუძველზე, სამინისტრო ვერ მოახდენდა ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით ანაზღაურებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ძალაშია სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით. შესაბამისად ძალაშია ბრძანების 115-ე პოზიციით განსაზღვრული СНиП IV-8-84 (მშენებლობაში ზედნადები ხარჯების და გეგმიური დაგროვებების სახარჯთაღრიცხვო ნორმების დამუშავების და გამოყენების წესები), რომელიც განსაზღვრავს სამშენებლო სამუშაოების თვითღირებულების (მათ შორის პირდაპირი ხარჯების), ზედნადები ხარჯების და გეგმიური დაგროვების განმარტებას და მათი გამოყენების წესებს. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე პირდაპირი ხარჯების

განყოფილებაში მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების დანახარჯები ჩადებული უნდა იყოს თვითღირებულებით.

რაც შეეხება თქვენს არგუმენტს, რომ თუ პრეტენდენტმა გაიმარჯვა გარკვეული სატენდერო წინადადების ფასით, ამიტომ მას უფლება აქვს რა ფასითაც უნდა იმ ფასად ჩადოს ფორმა N2-ში მასალების თუ შრომის ღირებულება (თუნდაც არაადექვატურად მაღალ ფასად), ეს არც ერთი საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტით არ არის დაშვებული. მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენას (ანგარიშსწორების მოხდენა დაშვებული იქნებოდა პირდაპირ სატენდერო წინადადების ფასიდან გამომდინარე, რაც ასე არ არის).

ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევებში სამშენებლო კომპანიები სწორედ ამ გზით (პირდაპირი ხარჯების გაყალბებით) ცდილობენ გაზარდონ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები და გავიდნენ თავიანთ სატენდერო წინადადების ფასზე, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ტენდერების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები არასწორად (გაზრდილად) არის განსაზღვრული (შესაბამისად წარმოქმნილ გარკვეულ ეკონომიებსაც ფიქტიური ხასიათი აქვს). შედეგად პრეტენდენტები ტენდერში იმარჯვებენ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით არაადექვატურად მაღალი სატენდერო წინადადებებით, რის შედეგადაც იფლანგება საბიუჯეტო სახსრები. ამის კონკრეტული მაგალითია სწორედ ეს შემთხვევა, როცა შუშის დერეფნის კონსტრუქციის 1მ²-ის მონტაჟის რეალური საბაზრო ფასი ყველა მასალის და გადასახადის ჩათვლით არის 170-230 ლარი, სამინისტროს მიერ კი გადახდილია 1468 ლარი.

რაც შეეხება იმას, რომ მიღება-ჩაბარების აქტები დადასტურებულია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, განვიმარტავთ, რომ ბიუროს კომპეტენციაში არ შედის ტენდერების ჩატარების კანონიერების შემოწმება (მათ შორის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე მოსაზრების გამოთქმა) და აქედან გამომდინარე ის ძირითადად ამოწმებს სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების რეალობას.

შპს „ალიანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოთქმულია იგივე შენიშვნა რაც შპს „ხუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში. პასუხი შესაძლებელია გავრცელებული იქნას ამ შემთხვევაზეც.

შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით (SPA120000107) ჩვენი პრეტენზიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი არ არის ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა შემდეგი გარემოებების გამო:

-ის გარემოება, რომ სატენდერო კომისიას კანონმდებლობა არ უზღუდავს სამუშაო გამოცდილების თუ სხვა წარმოსადგენი დოკუმენტების განსაზღვრის არჩევანს, არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ტენდერების დროს ეს უფლება გამოყენებული იქნას არაადექვატურად

განსხვავებულად. კერძოდ, გაურკვეველია თუ რა კრიტერიუმით დადგინდა სატენდერო დოკუმენტაციით 10,000.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების (ისიც აუცილებლად ბოლო სამი წლის მიხედვით) დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება. რატომ არ ჩაითვალა 5,000.0 ათასი ლარის სამუშაოების შესრულება საკმარისად ისევე, როგორც სხვა ტენდერების შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ტენდერში მეტი პრეტენდენტი მიიღებდა მონაწილეობას და კონკურენციაც მეტი იქნებოდა.

-ის ფაქტი, რომ ტენდერში ორმა პრეტენდენტმა (შპს „ხურომ“ და შპს „ნიუ კონსტრაქშენმა“) დააფიქსირა დაახლოებით ერთნაირი სატენდერო წინადადების ფასები, რომლებიც მნიშვნელოვანი ოდენობით (94.7 ათასი ლარით და 90.3 ათასი ლარით) ნაკლები იყო გამარჯვებული შპს „მშენ-ელექტრო სერვისის“ სატენდერო წინადადების ფასზე, ასევე ტენდერის მიმდინარეობისას ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი ოდენობით კლება (344.7 ათასი ლარით) ადასტურებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ იყო ადექვატურად განსაზღვრული.

-აუდიტის ანგარიშში დეტალურად არის გაანალიზებული ის გარემოება, რომ როდესაც იმარჯვებდა პრეტენდენტი სხვებთან შედარებით ბევრად მაღალი სატენდერო წინადადების ფასით, სამინისტროს კანონმდებლობის დაცვით შეეძლო შეეწყვიტა ტენდერი და გამოეცხადებინა ახალი ტენდერი ადექვატური შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, რითაც დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები მინიმუმ 93.6 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან გამომდინარე შესყიდვების არსებული კანონმდებლობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ შესყიდვების განხორციელების მიმართ მიდგომა არ იყოს „ხისტი“, რითაც შეიძლება თავიდან იქნას აცილებული არაეკონომიური ხარჯვა. თუმცა ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებას კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

შპს „ტექნო-პროგრეს-სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოთქმულია იგივე შენიშვნა რაც შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში. პასუხი შესაძლებელია გავრცელებული იქნას ამ შემთხვევაზეც. კერძოდ უზრუნველყოფილი არ არის ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა (მიუხედავად კანონმდებლობის ნორმების ე.წ. „ხისტი“ დაცვისა).

საინჟინრო-საპროექტო მომსახურებების შესყიდვა

საკითხში განხილული ფაქტები (გადაწყვეტილებები მშენებლობების შეჩერებასთან დაკავშირებით) მომხდარია 2012 წლის სექტემბრამდე, და შესაბამისად გაუგებარია თუ რა პოლიტიკური მიზეზები იგულისხმება შენიშვნებში.

შპს „Engineering Services Company“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება

ის გარემოება, რომ კანონმდებლობით არ არის შეზღუდული ავანსების ოდენობა, არ ნიშნავს იმას, რომ წლის ბოლოს ავანსები გადავრიცხვით დაუსაბუთებლად. ამით განხორციელდა წლიური აუთვისებელი რესურსის შემცირება და 2014 წლის ასიგნებების ხელოვნურად გაზრდა 2013 წლის აუთვისებელი ასიგნებების ხარჯზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ზოგადად მიზანშეწონელია ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე გავლენის თვალსაზრისითაც (თუმცა ამ შემთხვევაში დიდი ოდენობის თანხის გადარიცხვას არ ჰქონდა ადგილი) და ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით როგორც ირკვევა აპირებთ ჩვენი რეკომენდაციის გათვალისწინებას, რაც სასურველი იქნება.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს ადგილი ჰქონდა შიდა უწყებრივ პრობლემებს, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ თანხები უყარათოდ გაიხარჯა. რაც ალბათ მომავალში გათვალისწინებული იქნება.

ავტომანქანების ჩანაცვლება

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით თქვენს მიერ არგუმენტებად მოტანილია ის გარემოება, რომ ჩანაცვლების განხორციელებისას დარღვეული არ არის კანონმდებლობის არანაირი ნორმა.

ჩვენი პრეტენზიები მიმართულია არა ჩანაცვლების პროცედურების მიმართ (დაცულია თუ არა კანონმდებლობით დაწესებული პროცედურები), არამედ თვითონ ჩანაცვლების მიზანშეწონილობის მიმართ. კერძოდ, იყო თუ არა ეფექტური ჩანაცვლების განხორციელება, ჯობდა თუ არა რომ შესყიდვები განხორციელებულიყო ტენდერების გამოყენებით, რა საჭირო იყო პრაქტიკულად ახალი ავტომანქანების ჩანაცვლება, რამდენად მიზანშეწონილია შუამავალი კომპანიების საშუალებით შესყიდვების განხორციელება და ა.შ.

ზემოაღნიშნული საკითხები არგუმენტირებულად არის განხილული აუდიტის ანგარიშში. შესაბამისად შენიშვნები ვერ იქნება გაზიარებული.

შპს „დიანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

აუდიტის ჯგუფის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ შესყიდვის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა წყდებოდეს არა რაზმის უფროსის მოადგილის გემოვნებით (რომელიც არ გახლავთ კომპეტენტური ამ საკითხში), არამედ ხარისხთან დაკავშირებით კომპეტენტური ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. ასევე მიუღებლად მიგვაჩნია სატენდერო დოკუმენტაციით საქონლისთვის ისეთი პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებლობას და კონკრეტულ მომწოდებელს აძლევს უპირატესობას (ვგულისხმობთ ძირითადად ვიზუალურ მონაცემებს, რომელიც სუბიექტურად გემოვნების საკითხია). არგუმენტად არ გამოდგება ასევე სკეპტიკური განწყობა ადგილობრივი წარმოებების მიმართ. ცნობისთვის, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტებით მიღებული ინფორმაციების შესაბამისად ადგილობრივი წარმოებებით სარგებლობს არა მხოლოდ შემოსავლების სამსახური, არამედ სხვა ისეთი სტრუქტურებიც, რომლებიც ბევრად დიდი რაოდენობის უნიფორმას საჭიროებენ.

მივლინებები ქვეყნის გარეთ, წარმომადგენლობითი ხარჯები და შრომის ანაზღაურება

აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით ძირითადად წარმოდგენილია ახსნა-განმარტებები და ხარჯულების გამოსწორების გზები, რაც სწორ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია.